ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება შენობა-ნაგებობების, მანქანა - დანადგარების, ავეჯისა და ბიბლიოთეკის ფონდების და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
შენობები	14-50
მანქანა-დანადგარები	4-20
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-17
სატრანსპორტო საშუალებები	5-20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივს ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ჯგუფის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 10-დან 20 წლამდე და პატენტებისგან რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

შემოსავლის აღიარება

ჯგუფი აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ.

აქტივის საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

განმარტება

მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, მაგალითად: ხელფასები, საპენსიო შენატანები, ფასიანი წლიური შვებულება და ბიულეტენი, მოგებაში მონაწილეობა და ბონუსები და არაფულადი დახმარებები (მაგალითად: სამედიცინო დაზღვევა, ბინით და ავტომანქანით უზრუნველყოფა, უფასო ან სუბსიდირებული საქონელი ან მომსახურება) არსებულ თანამშრომელთათვის.

აღიარება და შეფასება

საწარმოს მოეთხოვება აღიაროს:

1. ვალდებულება მაშინ, როდესაც მომუშავემ მომსახურება გასწია მომავალში გასამრჯელოს მიღების სანაცვლოდ; და
2. ხარჯი მაშინ, როდესაც საწარმო მოიხმარს იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიიღო მომუშავეს მიერ გასამრჯელოს სანაცვლოდ გაწეული მომსახურებიდან.

საწარმომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღიაროს პრემიების მოსალოდნელი ხარჯი, თუ:

1. წარსული მოვლენების შედეგად საწარმოს ეკისრება ზემოთ აღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა; და
2. შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე მოვალეობა მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

კლასიფიკაცია

მომუშავეთა გასამრჯელოებს განეკუთვნება:

1. მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, მაგალითად: ხელფასები, საპენსიო შენატანები, წლიური ფასიანი შვებულება და ბიულეტენი, მოგების განაწილება და ბონუსები და არაფულადი დახმარებები (მაგალითად: სამედიცინო მომსახურება, ბინითა და ავტომანქანით უზრუნველყოფა, უფასო ან სუბსიდირებული საქონელი ან მომსახურება) არსებულ თანამშრომელთათვის;
2. მომუშავეთა სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები, მათ შორის, შვებულება ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის ან ანაზღაურებადი შემოქმედებითი შვებულება, საიუბილეო ან სხვა დახმარებები ხანგრძლივი სამსახურისათვის, გრძელვადიანი დახმარებები შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, პრემიები და გადავადებული კომპენსაცია იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გასამრჯელოები გაიცემა პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ;

მომუშავის მოკლევადიანი გასამრჯელოები

მომუშავის მოკლევადიან გასამრჯელოებს განეკუთვნება:

1. მოკლევადიანი კომპენსირებადი გაცდენები (მაგალითად: ფასიანი წლიური შვებულება და ბიულეტენი), როდესაც გაცდენების კომპენსაცია გადასახდელია 12 თვის განმავლობაში იმ პერიოდის დამთავრებიდან, როდესაც მომუშავემ შესაბამისი მომსახურება გასწია;
2. მოგებაში მონაწილეობის წილი და გადასახდელი პრემიები 12 თვის განმავლობაში იმ პერიოდის დამთავრებიდან, როდესაც მომუშავემ შესაბამისი მომსახურება გასწია; და
3. არაფულადი გასამრჯელოები (მაგალითად: სამედიცინო მომსახურება, ბინით უზრუნველყოფა, მანქანით მომსახურება, უფასო ან სუბსიდირებული საქონელი ან მომსახურება) არსებულ თანამშრომელთათვის.

2. მნიშვნელოვანი საადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელებიც გავლენას ახდენენ მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

ჯგუფი ყოველი წლის ბოლოს ატარებს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ზემოხსენებული აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

ჯგუფის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ჯგუფი დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs - მსს ფასს) მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია

საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

3. სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
საქონელი	7,343,146	6,242,475
პროდუქცია-ტექნიკა	3,037	3,096
ნედლეული და მასალები	5,539	1,950
მასალები ანგარიშვალდებულ პირებზე	2,084	1,110
ჯამი	7,353,806	6,248,632

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი რაოდენობის გასაყიდად გამიზნული მარაგები. ძირითადად ეს მარაგები წარმოადგენენ სათვალეებს და კონტაქტურ ლინზებს, ასევე მათი მოვლის საშუალებებს.

მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

ჯგუფის პოლიტიკიდან გამომდინარე მუდმივად ხდება მარაგების საბალანსო ღირებულების მონიტორინგი საბაზრო ღირებულებასთან შედარებით, რის მიხედვითაც ჯგუფი განსაზღვრავს ფასდაკლების განაკვეთს. ვინაიდან, თუ არსებობს იმის საშიშროება რომ მარაგის საბაზრო ღირებულება ჩამოცდება მის საბალანსო ღირებულებას, ასეთი მარაგის ამოყიდვის მიზნით ჯგუფი აკეთებს ფასდაკლებას, რათა გაუფასურების რისკის ქვეშ მყოფი მარაგი, იქამდე გაიყიდოს ვიდრე ის გაუფასურდება მის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით. საანგარიშებო წლის ბოლოს ჯგუფში არ არსებობს ისეთი მარაგი რომლის საბალანსო ღირებულება იქნებოდა მის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,278,955	591,236
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,773,536	347,689
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	58,090	46,692
ჯამი	4,110,581	985,617

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც ჯგუფს მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

უცხოური ვალუტის სიჭარბე ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში განპირობებულია იმით, რომ ჯგუფი სარეალიზაციო საქონლის უდიდეს ნაწილს ყიდულობს უცხოელი მომწოდებლებისგან, რაც განაპირობებს უცხოური ვალუტის მუდმივი არსებობის აუცილებლობას ჯგუფში.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
----------------------------	-------------	-------------

შპს „რონიკო“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	668,841	422,611
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	867,635	114,252
სადეპოზიტო მოთხოვნები	108,607	81,365
ფული გზაში	44,901	57,156
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1,210	1,084
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(81,387)	(81,387)
ჯამი	1,609,806	595,082

ჯგუფის მოთხოვნების ნაშთი რეალიზაციასთან შედარებით უმნიშვნელოა, რაც გამოწვეულია ბიზნესის სპეციფიკით. შპს „რონიკოს“ ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა, თუმცა ამავედროულად ჯგუფს ჰყავს რამოდენიმე მსხვილი კლიენტიც, რომელთან წარმოებული სავაჭრო ოპერაციები იწვევენ დებიტორული მოთხოვნების ნაშთის არსებობას წლის ბოლოს.

მუხლში „ფული გზაში“ აღრიცხულია ბარათებით გადახდილი თანხა, რომელიც ჯერ არ დამჯდარა საბანკო ანგარიშზე.

6. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ძირითადი საშუალებები რომლებიც არ საჭიროებენ მონტაჟს	ძირითადი საშუალებების მშენებლობა/ მონტაჟი	სულ
თვითღირებულება 01-იან-2022	5,988,462	992,466	1,050,083	343,694	625,073	106,336	176	9,106,289
ზრდა	9,491	330,010	155,423	253,927	-	504,639	24,422	1,277,911
შემცირება	-	(295,509)	(10,745)	(129,799)	-	(436,338)	(9,491)	(881,882)
თვითღირებულება 31-დეკ-2022	5,997,953	1,026,966	1,194,762	467,821	625,073	174,638	15,107	9,502,319
ზრდა	29,000	49,751	316,297	-	187,506	404,730	170,965	1,158,248
შემცირება	-	(23,284)	(11,369)	-	-	(387,519)	(185,895)	(608,068)
თვითღირებულება 31-დეკ-2023	6,026,953	1,053,433	1,499,690	467,821	812,578	191,849	176	10,052,499
აკუმულირებული ცვეთა 01-იან-2022	(1,063,621)	(594,716)	(585,891)	(123,673)	(434,997)	-	-	(2,802,899)
ცვეთის ხარჯი	(189,743)	(115,498)	(118,028)	(28,574)	(52,004)	(19,010,507)	(19,010,507)	38,524,863
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	-	98	104,491	-	19,010,507	19,010,507	38,125,604
აკუმულირებული ცვეთა 31-დეკ-2022	(1,253,364)	(710,215)	(703,821)	(47,757)	(487,001)	-	-	(3,202,158)
ცვეთის ხარჯი	(167,586)	(114,320)	(155,202)	(44,232)	(68,478)	-	-	(549,818)
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	-	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული ცვეთა 31-დეკ-2023	(1,420,950)	(824,535)	(859,023)	(91,989)	(555,479)	-	-	(3,751,977)
საბალანსო ღირებულება 01-იან-2022	4,924,841	397,750	464,192	220,020	190,075	106,336	176	6,303,390
საბალანსო ღირებულება 31-დეკ-2022	4,744,589	316,751	490,941	420,064	138,071	174,638	15,107	6,300,161
საბალანსო ღირებულება 31-დეკ-2023	4,606,002	228,898	640,666	375,832	257,099	191,849	176	6,300,522

გარემოებები, რომელიც მიანიშნებდა საწარმოს ძირითადი საშუალებების გაუფასურებას, არ არსებობს. ასევე არ არსებობს ისეთი გარემოებები რომელიც მიანიშნებდა ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების ან მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილებას.

7. ინვესტიციები შვილობილ საწარმოში

2023 წელს ჯგუფს არ განუხორციელებია ინვესტიციები სხვა საწარმოში. 2022 წელს მოხდა შვილობილი საწარმოს შპს „ართთაიმის“ (ს.6202356672) 100%-იანი წილის შეძენა. საწარმოზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 2022 წლის 26 ოქტომბერს. წილის ღირებულებამ შეადგინა 7,497,353 ლარი, რაც სრულადაა გადახდილი უნაღლო ანგარიშსწორებით.

8. კაპიტალი

მშობელი საწარმოს საწესდებო კაპიტალი 1,265 ლარს შეადგენს. საანგარიშგებო პერიოდში მისი ცვლილება არ მომხდარა. ამავდროულად ჯგუფმა 2023 წელს მიიღო 6,678,599 ლარის ოდენობის წმინდა მოგება (2022 წელს - 6,553,302 ლარი) და გასცა 1,610,526 ლარის დივიდენდი (2022 წელს 752,632 ლარი).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჯგუფის კაპიტალმა 2023 წლის 31 დეკემბერს შეადგინა 26,067,392 ლარი.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	708,967	505,652
მიღებული ავანსები	279,284	227,745
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	69,238	103,405
ჯამი	1,057,489	836,802

10. შემოსავალი

საოპერაციო შემოსავლები	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	25,341,820	23,164,133
ჯამი	25,341,820	23,164,133

ჯგუფის შემოსავლის ძირითად წყაროს საქონლის (სათვალეუბის და კონტაქტური ლინზების) რეალიზაცია წარმოადგენს. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფმა მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ოპერაციები. ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ოფთალმოლოგიური მომსახურებები რომლებსაც ჯგუფი სთავაზობს თავის მომხმარებელს. ჯგუფს ასევე გაქირავებული აქვს მის საკუთრებაში არსებული რამოდენიმე კომერციული ფართი.

არასაოპერაციო შემოსავლები	2023 წელი	2022 წელი
არასაოპერაციო შემოსავალი	864,594	1,086,646
საპროცენტო შემოსავლები	19,439	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი (უსასყიდლო მიწოდება)	6,445	11,800
ჯამი	890,478	1,098,446

არასაოპერაციო შემოსავლის უდიდესი ნაწილი შედგება ჯგუფის მიერ უცხოელი მომწოდებლებისაგან ბონუსის სახით მიღებული შემოსავლებისაგან, შეთანხმებულზე მეტი ოდენობით საქონლის შესყიდვისათვის.

11. ხარჯები

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2023 წელი	2022 წელი
რეალიზებული საქონელი	10,738,833	10,188,303
პირდაპირი ხელფასი	853,407	697,439
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	79,327	118,541
ჯამი	11,671,567	11,004,283

შპს „რონიკოს“ თვითღირებულება შეესაბამება სავაჭრო ჯგუფის თვითღირებულების მოდელს. მის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს რეალიზებული საქონლის ხარჯი და ასევე, მნიშვნელოვანი წილს იკავებს პერსონალის ხელფასები.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,485,782	1,815,191
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	507,553	310,174
ბანკის საკომისიო ხარჯი	276,864	225,822
საგადასახადო ხარჯი	172,169	168,924
მივლინების ხარჯი	63,164	13,901
სამეურნეო დანიშნულების ხარჯები	62,138	64,693
საპენსიო ანარიცხები	54,952	42,027
კომუნიკაციის ხარჯები	44,905	41,929
ლოჯისტიკის ხარჯი	33,561	39,716
საკონსულტაციო ხარჯები	32,151	17,683
რემონტის ხარჯი	26,618	791
კომუნალური ხარჯები	24,605	22,861
წარმომადგენლობითი ხარჯები	20,285	6,951
კომპიუტერის ხარჯები	15,058	13,259
დაცვის ხარჯი	13,376	12,936
საკანცელარიო ხარჯი	12,114	10,969
ავტომობილის რემონტის ხარჯი	9,724	6,578
დაზღვევის ხარჯი	8,833	5,772
საწვავის ხარჯი	8,225	-
საოფისე ინვენტარის ხარჯი	5,321	3,743
დასუფთავების ხარჯი	1,684	638
რეკლამის ხარჯი	-	84,294
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	82,792	43,010
ჯამი	2,961,875	2,951,860

მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	2023 წელი	2022 წელი
იჯარის ხარჯი	1,912,488	1,753,423
შრომის ანაზღაურების ხარჯი-მიწოდების წილი	1,702,739	1,533,784
რეკლამის ხარჯი	120,851	153,070
მაღაზიების ელ. ენერგიის ხარჯი	95,266	89,051
საწვავის ხარჯი-მიწოდების წილი	21,668	19,599
მაღაზიების დასუფთავების ხარჯი	21,916	18,591
მაღაზიების ბუნებრივი აირის ხარჯი	2,131	9,672

სავალდებულო დაზღვევის ხარჯი	18,996	9,134
მაღაზიების წყალმომარაგების ხარჯი	8,495	8,377
ჯამი	3,904,551	3,594,701

12. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით ჯგუფის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც ჯგუფი საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და ჯგუფის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

13. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასის სტანდარტით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ:

შპს „კენარი“ - დამფუძნებელი ირაკლი ჯავახია, როლანდ ჯავახიას ვაჟი

შპს „ჯემინი“ - დამფუძნებელი როლანდ ჯავახია.

როლანდ ჯავახია - შპს „რონიკო“ დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი

ირაკლი ჯავახია - ბ/ნ როლანდ ჯავახიას ვაჟი, კომპანიასთან დაკავშირებულია საიჯარო ხელშეკრულებით. ნიკოლოზ ჯავახია- ბ/ნ როლანდ ჯავახიას ვაჟი, კომპანიასთან დაკავშირებულია შრომითი და საიჯარო ხელშეკრულებებით.

ლიანა ჯავახია - ბ/ნ როლანდ ჯავახიას ძმის შვილი, კომპანიასთან დაკავშირებულია შრომითი ხელშეკრულებით.

გია ჯავახია - ბ/ნ როლანდ ჯავახიას ძმა, კომპანიასთან დაკავშირებულია შრომითი ხელშეკრულებით.

სოფიკო მაისურაძე - ბ/ნ როლანდ ჯავახიას რძალი, კომპანიასთან დაკავშირებულია შრომითი ხელშეკრულებით.

კომპანიას აქვს გარკვეული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში:

მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
შ.პ.ს „კენარი“	44,022	-
ჯამი	44,022	-

ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
შ.პ.ს „კენარი“	-	149,233
შპს „ჯემინი“	3,759	1,819
ჯამი	3,759	151,052

შემოსავლები დაკავშირებული მხარისგან	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
შპს კენარი	1,436,467	1,300,093
შპს ჯემინი	850,386	675,304
სოფიო მაისურაძე	-	211
ჯამი	2,286,853	1,975,608

ხარჯები გაწეული დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
როლანდ ჯავახია	229,644	237,985
ირაკლი ჯავახია	74,400	74,400
ნიკოლოზ ჯავახია	25,585	27,909
შპს კენარი	7,038	7,172
შპს ჯემინი	-	402
ჯამი	336,667	347,868

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2023 წელი	2022 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	173,177	171,304

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 1-ელ ოქტომბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

რონიკო

მმართველობის ანგარიშგება

2023 წ.

(საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია ფირმის მენეჯმენტის მიერ



1. საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს „რონიკო“ ლიდერი ოპტიკური კომპანიაა საქართველოში. კომპანია 1996 წელს დაარსდა თბილისში და უკვე 29-წლიან ისტორიას ითვლის. ამ წლების მანძილზე, კომპანია სტაბილურად და ეტაპობრივად ვითარდებოდა, ქართულ ბაზარზე ქმნიდა და ავითარებდა ოპტიკური ბიზნესის საუკეთესო ტრადიციებს თუ სტანდარტებს, ნერგავდა და ამადლებდა ოპტიკური პროდუქტების მოხმარების კულტურას, აუმჯობესებდა ოპტიკურ სერვისებს: მხედველობის დიაგნოსტიკიდან - ოპტიკური ჩარჩოს ინდივიდუალური პარამეტრებით დამზადებამდე, შემოჰქონდა მსოფილოს ნომერ პირველი, საუკეთესო ოპტიკური ბრენდები და პროდუქტები. ამჟამად „რონიკო“ მოიცავს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ყველაზე დიდ ოპტიკურ ქსელს და ოფიციალურად წარადგენს 90-ზე მეტ მსოფლიოს წამყვან ოპტიკის თუ მოდის სამყაროს ბრენდს საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მზის და ოპტიკური სათვალეების ყველაზე ფართო არჩევანი, კონტაქტური ლინზების და სასათვალე ლინზების უდიდესი ასორტიმენტი, ოპტიკური სერვისები, ლაბორატორიები, სასწავლო ცენტრი - ეს ყველაფერი კომპანიის 29-წლიანი წარმატებული განვითარების შედეგია. კომპანიის სულისკვეთება მუდმივი გაუმჯობესება, განახლება და ინოვაციებისკენ სწრაფვაა!

კომპანიაში ფუნქციონირებს ლაბორატორიები, ოპტიკოსების მოსამზადებელი ტრენინგ ცენტრი. „რონიკო“ ფლობს ოფიციალური დისტრიბუტორობის საერთაშორისო სერთიფიკატებს. ჩვენმა იტალიელმა და ფრანგმა პარტნიორებმა მოგვანიჭეს უფლება და მსოფლიო წამყვანი ბრენდების დისტრიბუციას ვახორციელებთ აზერბაიჯანსა და სომხეთში.

2023 წელს „რონიკო“ დაჯილდოვდა „ოქროს ბრენდის“ და „წლის ლიდერის“ საპატიო ჯილდოებით და სერთიფიკატებით ოპტიკური კომპანიის კატეგორიაში. ოქროს ბრენდი არის მთავარი ჯილდო საქართველოში წარმატებული ბიზნესპროექტებისთვის, რომელსაც ექსპერტები და მომხმარებლები, ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, ანიჭებენ კომპანიებს. ხოლო „წლის ლიდერის“ ტიტული კომპანიამ მიიღო ბიზნეს სარეიტინგო კავშირისა და შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციისგან. ბიზნეს რეიტინგის კავშირი და შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაცია ყოველწლიურად, ობიექტური და გამჭვირვალე სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, ავლენენ საუკეთესო ბიზნეს კომპანიებს და ანიჭებენ მათ „წლის ლიდერის“ წოდებას. ამ მონაცემების მიხედვით, კომპანია „რონიკო“-მ პირველი ადგილი დაიკავა შემდეგ კრიტერიუმებში:

ბრუნვა	1
დაქირავებულთა ანაზღაურება	1
დანახარჯები დასაქმებულებზე	1
დასაქმებულთა რაოდენობა	1

„რონიკოს“ ერთ-ერთი თვალსაჩინო უპირატესობა მსოფლიოს ლიდერ ოპტიკურ კომპანიებთან თანამშრომლობაა. ოპტიკური პროდუქციის ყველა სეგმენტში: მზის სათვალეები, ოპტიკური ჩარჩოები, სასათვალე ლინზები თუ კონტაქტური ლინზები „რონიკოს“ თანამშრომლობს მსოფლიოს საუკეთესო მწარმოებლებთან. შედეგად, ქართველ მომხმარებელს სთავაზობს ისეთი ბრენდების მზის და ოპტიკურ სათვალეებს, როგორებიცაა: Ray-Ban, Dolce&Gabbana, Prada, Giorgio Armani, Persol, Porsche Design, Ermenegildo Zegna, Mont Balnc, Chopard, Cartier, Bvlgari, Versace, და სხვ. სასათვალე მინების სეგმენტში კომპანია წარადგენს მსოფლიოს საუკეთესო იაპონურ და ფრანგულ ბრენდებს: HOYA, Essilor. ხოლო კონტაქტური ლინზების სეგმენტში, ასევე, მსოფლიოს მოწინავე პროდუქტებს - Cooper Vision, ALCON, Johnson&Johnson.

კომპანიის მთავარი პრიორიტეტი მომხმარებლისათვის ხარისხიანი პროდუქტის და სერვისის შეთავაზებაა, რისთვისაც ქსელში მუდმივად ხდება ინოვაციების დანერგვა: საუკეთესო პროდუქტების შემოტანა, მხედველობის დიაგნოსტიკის სერვისის დახვეწა, აპარატურის განახლება, სადიაგნოსტიკო ოფთალმოლოგიური კაბინეტების და ოპტიკური სათვალის დამამზადებელი ლაბორატორიების უკეთესად აღჭურვა, ექიმი-ოფთალმოლოგების და გაყიდვების კონსულტანტების დატრენინგება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

კომპანია თავის უმნიშვნელოვანეს მისიად მიიჩნევს მომხმარებლებისთვის ოპტიკური ინდუსტრიის სიახლეებისა და მიღწევების შეთავაზებას, რაც მათ ეხმარება გაიუმჯობესონ მხედველობა, შეარჩიონ მზისგან დამცავი შესაფერისი სათვალე.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის სამომავლო გეგმებში შედის სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, თანამედროვე ოფისის შეძენა, რომელშიც მაქსიმალურად კომფორტულ პირობებს შევუქმნით თანამშრომლებს.

ასევე, შოურუმის და საწყობის ოპტიმიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის ზრდას, განსაკუთრებით ექსპორტის კერძოდ, კი სომხეთის და აზერბაიჯანის მიმართულებით.

3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიის წარმატებული საქმიანობის შედეგია, რომ 2023 წელს კომპანიამ შეძლო 2 ახალი ფილიალის დამატება. ამჟამად, რონიკოს ქსელი 25 ოპტიკურ სალონს აერთიანებს. მათგან 18 დედაქალაქის სხვადასხვა ქუჩაზე და სავაჭრო ცენტრში, 2 ფილიალი ქ. ქუთაისიში, 5 ფილიალი ქ. ბათუმში მდებარეობს.

ასევე, ფუნქციონირებს ონლაინ მაღაზია რომლის მიზანია, მომხმარებლებს მაქსიმალურად გაუმარტივოს პროდუქტის შეძენა და სწრაფად მოხდეს მათთვის სასურველ ადგილზე მიწოდება.

ფილიალის მისამართები	
1	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 107
2	ქ. თბილისი, თამარ მეფის 14
3	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 19
4	ქ. თბილისი, გამსახურდიას 25
5	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 20
6	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 36
7	ქ. თბილისი, პეკინის 13
8	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 16
9	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 50
10	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 14ბ
11	ქ. თბილისი, აკ. წერეთლის 110,
12	ქ. თბილისი, ყაზბეგის 26
13	ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 16 კმ., თბილისი მოლი
14	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 70/სითი მოლი ქავთარაძე
15	ქ. თბილისი, რუსთაველის 2/სავაჭრო ცენტრი გალერია II სათული
16	ქ. თბილისი, რუსთაველის 2/4 სავაჭრო ცენტრი გალერია I სათული
17	ქ. თბილისი, თვალჭრელიძის 2-სავაჭრო ცენტრი ისთ ფოინთი
18	ქ. თბილისი, ხიზაბაძის 1, სითი მოლი გლდანი
19	ქ. ბათუმი-ლევ და მარია კაჩინსკების ქ.1, სავაჭრო ცენტრი მეტრო სითი
20	ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის 2
21	ქ. ბათუმი, ძმ. ზუბალაშვილების 16
22	ქ. ქუთაისი, წმ. ნინოს ქ. 1/3/5
23	ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. 37
24	ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის N29
25	ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის 71

4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საკმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

	31/12/23	31/12/22
მიმდინარე აქტივები	13,238,056	7,955,179

გრძელვადიანი აქტივები	13,826,288	13,820,406
სულ აქტივები	27,064,344	21,775,585
მიმდინარე ვალდებულებები	1,057,489	836,802
მოგება/(ზარალი)	19,326,992	20,937,518
სულ კაპიტალი	26,006,855	20,938,783
შემოსავალი რელიზაციიდან	25,341,820	23,164,133
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(11,671,567)	(11,004,283)

2023 წელს კომპანიის საოპერაციო შემოსავლები წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა.

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

წელსაც კომპანიისთვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს:

- გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, რომელიც ქვეყნის გარე ან/და შიდა ფაქტორების ზემოქმედებით შეიძლება იქნეს გამოწვეული.
ვინაიდან სარეალიზაციო საქონლის შესყიდვა ხორციელდება უცხოურ ბაზრებზე, აქედან გამომდინარე სავალუტო რისკიდან მიღებული ზარალის აღბათობა საკმაოდ მაღალია.
- მუდმივი პოლიტიკური რყევები, მეზობელ ქვეყნებს შორის არასტაბილურობა, საომარი ვითარებები ბუნებრივია თავის უარყოფით გავლენას ახდენს ბიზნესზე.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

რონიკო

მმართველობის ანგარიშგება

2023 წ.

(საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია ფირმის მენეჯმენტის მიერ


Roniko

1. საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს „რონიკო“ ლიდერი ოპტიკური კომპანიაა საქართველოში. კომპანია 1996 წელს დაარსდა თბილისში და უკვე 29-წლიან ისტორიას ითვლის. ამ წლების მანძილზე, კომპანია სტაბილურად და ეტაპობრივად ვითარდებოდა, ქართულ ბაზარზე ქმნიდა და ავითარებდა ოპტიკური ბიზნესის საუკეთესო ტრადიციებს თუ სტანდარტებს, ნერგავდა და ამჟღავნებდა ოპტიკური პროდუქტების მოხმარების კულტურას, აუმჯობესებდა ოპტიკურ სერვისებს: მხედველობის დიაგნოსტიკიდან - ოპტიკური ჩარჩოს ინდივიდუალური პარამეტრებით დამზადებამდე, შემოჰქონდა მსოფლიოს ნომერ პირველი, საუკეთესო ოპტიკური ბრენდები და პროდუქტები. ამჟამად „რონიკო“ მოიცავს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ყველაზე დიდ ოპტიკურ ქსელს და ოფიციალურად წარადგენს 90-ზე მეტ მსოფლიოს წამყვან ოპტიკის თუ მოდის სამყაროს ბრენდს საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მზის და ოპტიკური სათვალეების ყველაზე ფართო არჩევანი, კონტაქტური ლინზების და სასათვალე ლინზების უდიდესი ასორტიმენტი, ოპტიკური სერვისები, ლაბორატორიები, სასწავლო ცენტრი - ეს ყველაფერი კომპანიის 29-წლიანი წარმატებული განვითარების შედეგია. კომპანიის სულისკვეთება მუდმივი გაუმჯობესება, განახლება და ინოვაციებისკენ სწრაფვაა!

კომპანიაში ფუნქციონირებს ლაბორატორიები, ოპტიკოსების მოსამზადებელი ტრეინინგ ცენტრი. „რონიკო“ ფლობს ოფიციალური დისტრიბუტორობის საერთაშორისო სერთიფიკატებს. ჩვენმა იტალიელმა და ფრანგმა პარტნიორებმა მოგვანიჭეს უფლება და მსოფლიო წამყვანი ბრენდების დისტრიბუციას ვახორციელებთ აზერბაიჯანსა და სომხეთში.

2023 წელს „რონიკო“ დაჯილდოვდა „ოქროს ბრენდის“ და „წლის ლიდერის“ საპატიო ჯილდოებით და სერთიფიკატებით ოპტიკური კომპანიის კატეგორიაში. ოქროს ბრენდი არის მთავარი ჯილდო საქართველოში წარმატებული ბიზნესპროექტებისთვის, რომელსაც ექსპერტები და მომხმარებლები, ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, ანიჭებენ კომპანიებს. ხოლო „წლის ლიდერის“ ტიტული კომპანიამ მიიღო ბიზნეს სარეიტინგო კავშირისა და შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციისგან. ბიზნეს რეიტინგის კავშირი და შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაცია ყოველწლიურად, ობიექტური და გამჭვირვალე სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, ავლენენ საუკეთესო ბიზნეს კომპანიებს და ანიჭებენ მათ „წლის ლიდერის“ წოდებას. ამ მონაცემების მიხედვით, კომპანია „რონიკო“-მ პირველი ადგილი დაიკავა შემდეგ კრიტერიუმებში:

ბრუნვა	1
დაქირავებულთა ანაზღაურება	1
დანახარჯები დასაქმებულებზე	1
დასაქმებულთა რაოდენობა	1

„რონიკოს“ ერთ-ერთი თვალსაჩინო უპირატესობა მსოფლიოს ლიდერ ოპტიკურ კომპანიებთან თანამშრომლობაა. ოპტიკური პროდუქციის ყველა სეგმენტში: მზის სათვალეები, ოპტიკური ჩარჩოები, სასათვალე ლინზები თუ კონტაქტური ლინზები „რონიკო“ თანამშრომლობს მსოფლიოს საუკეთესო მწარმოებლებთან. შედეგად, ქართველ მომხმარებელს სთავაზობს ისეთი ბრენდების მზის და ოპტიკურ სათვალეებს, როგორებიცაა: Ray-Ban, Dolce&Gabbana, Prada, Giorgio Armani, Persol, Porsche Design, Ermenegildo Zegna, Mont Balnc, Chopard, Cartier, Bvlgari, Versace, და სხვ. სასათვალე მინების სეგმენტში კომპანია წარადგენს მსოფლიოს საუკეთესო იაპონურ და ფრანგულ ბრენდებს: HOYA, Essilor. ხოლო კონტაქტური ლინზების სეგმენტში, ასევე, მსოფლიოს მოწინავე პროდუქტებს - Cooper Vision, ALCON, Johnson&Johnson.

კომპანიის მთავარი პრიორიტეტი მომხმარებლისათვის ხარისხიანი პროდუქტის და სერვისის შეთავაზებაა, რისთვისაც ქსელში მუდმივად ხდება ინოვაციების დანერგვა: საუკეთესო პროდუქტების შემოტანა, მხედველობის დიაგნოსტიკის სერვისის დახვეწა, აპარატურის განახლება, სადიაგნოსტიკო ოფთალმოლოგიური კაბინეტების და ოპტიკური სათვალის დამამზადებელი ლაბორატორიების უკეთესად აღჭურვა, ექიმი-ოფთალმოლოგების და გაყიდვების კონსულტანტების დატრენინგება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

კომპანია თავის უმნიშვნელოვანეს მისიად მიიჩნევს მომხმარებლებისთვის ოპტიკური ინდუსტრიის სიახლეებისა და მიღწევების შეთავაზებას, რაც მათ ეხმარება გაუმჯობესონ მხედველობა, შეარჩიონ მზისგან დამცავი შესაფერისი სათვალე.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის სამომავლო გეგმებში შედის სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, თანამედროვე ოფისის შეძენა, რომელშიც მაქსიმალურად კომფორტულ პირობებს შევუქმნით თანამშრომლებს.

ასევე, შოურუმის და საწყობის ოპტიმიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის ზრდას, განსაკუთრებით ექსპორტის კერძოდ, კი სომხეთის და აზერბაიჯანის მიმართულებით.

3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიის წარმატებული საქმიანობის შედეგია, რომ 2023 წელს კომპანიამ შეძლო 2 ახალი ფილიალის დამატება. ამჟამად, რონიკოს ქსელი 25 ოპტიკურ სალონს აერთიანებს. მათგან 18 დედაქალაქის სხვადასხვა ქუჩაზე და სავაჭრო ცენტრში, 2 ფილიალი ქ. ქუთაისში, 5 ფილიალი ქ. ბათუმში მდებარეობს.

ასევე, ფუნქციონირებს ონლაინ მაღაზია რომლის მიზანია, მომხმარებლებს მაქსიმალურად გაუმარტივოს პროდუქტის შეძენა და სწრაფად მოხდეს მათთვის სასურველ ადგილზე მიწოდება.

ფილიალის მისამართები	
1	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 107
2	ქ. თბილისი, თამარ მეფის 14
3	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 19
4	ქ. თბილისი, გამსახურდიას 25
5	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 20
6	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 36
7	ქ. თბილისი, პეკინის 13
8	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 16
9	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 50
10	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 14ბ
11	ქ. თბილისი, აკ. წერეთლის 110,
12	ქ. თბილისი, ყაზბეგის 26
13	ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 16 კმ., თბილისი მოლი
14	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 70/სითი მოლი ქავთარაძე
15	ქ. თბილისი, რუსთაველის 2/სავაჭრო ცენტრი გალერია II სათული
16	ქ. თბილისი, რუსთაველის 2/4 სავაჭრო ცენტრი გალერია I სათული
17	ქ. თბილისი, თვალჭრელიძის 2-სავაჭრო ცენტრი ისტ ფოინთი
18	ქ. თბილისი, ხიზაბავრის 1, სითი მოლი გლდანო
19	ქ. ბათუმი-ლუხ და მარია კაჩინსკების ქ.1, სავაჭრო ცენტრი მეტრო სითი
20	ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის 2
21	ქ. ბათუმი, ძმ. ზუბალაშვილების 16
22	ქ. ქუთაისი, წმ. ნინოს ქ. 1/3/5
23	ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. 37
24	ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის N29
25	ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის 71

4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

	31/12/23	31/12/22
მიმდინარე აქტივები	13,238,056	7,955,179

